




გლობალური ბაზრების მიმოხილვა

გლობალური ბაზრები
პერიოდული
3 ივნისი, 2021

- აშშ-ში ეკონომიკის გაჯანსაღების და მასთან დაკავშირებული გაზრდილი ინფლაციური წნეხის მიუხედავად აშშ-ს ცენტრალური ბანკი (FED) ირწმუნება, რომ ფასების ზრდა დროებით ფაქტორებთანაა დაკავშირებული (ნავთობის ფასების ზრდა და შეფერხებები მიწოდების ჯაჭვში) და არაა მოსალოდნელი ეკონომიკის დახმარების ტემპის შენელება. ასევე, ევროპის ცენტრალური ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის განაცხადებით ამ ეტაპზე არაა მოსალოდნელი დახმარების პაკეტის შემცირება, რათა არ მოხდეს ეკონომიკის გაჯანსაღების შეფერხება. აღნიშნული კომენტარების შემდეგ აშშ-სა და ევროპის სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობა შემცირდა (აღსანიშნავია, რომ ობლიგაციის ფასი და შემოსავლიანობა უკუპროპორციულია), აშშ-ს 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციების შემოსავლიანობა მაისის ბოლოსთვის 1.58%-მდე შემცირდა, ხოლო ევროპაში გერმანიის 10 წლიანი ობლიგაციის შემოსავლიანობა -0.2%-მდე დაეცა. აქვე აღსანიშნავია, რომ უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით მაისში ევროკავშირში ინფლაციის მაჩვენებელმა 2%-ს მიაღწია (აპრილში 1.6%-ის შემდეგ), რაც 2018 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და აღემატება ევროპის ცენტრალური ბანკის სამიზნე მაჩვენებელს. გაზრდილი ინფლაციის მაჩვენებელმა შეიძლება შეაფერხოს ცენტრალური ბანკის დახმარების პაკეტის უცვლელად შენარჩუნების სურვილი.
- მაისში აშშ-სა და ევროპაში კომპანიების ფინანსური შედეგები გამოქვეყნდა, რომელმაც ანალიტიკოსების პოზიტიურ მოლოდინებს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. თუმცა, აღნიშნული შედეგები აქციების ფასებში უკვე ასახული იყო, რასაც მიუთითებს კომპანიის აქციის ფასების უმნიშვნელო ცვლილება ფინანსური შედეგების გამოქვეყნების შემდეგ.
- საერთო ჯამში, მაისში აქციები არაერთგვაროვნად შეიცვალა. S&P 500 ინდექსი მაისში მხოლოდ 0.5%-ით გაიზარდა 4,202-მდე. ტექნოლოგიური აქციების ფასები შემცირდა და შესაბამისად NASDAQ-ის ინდექსმა მაისში 2.6%-იანი კლება აჩვენა. ამავე პერიოდში 2.1%-ით გაიზარდა დოუ ჯონსის ინდექსი. ევროპაში მაისში აქციების ფასები გაიზარდა, კერძოდ STOXX ინდექსი მაისში 2.3%-ით გაიზარდა, ხოლო FTSE 250-მა კი 2.2%-ით.



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2021 წლის 1 ივნისის მდგომარეობით




- **ჩინეთის** ცენტრალურმა ბანკმა ბანკებისთვის უცხოურ ვალუტაში სარეზერვო მოთხოვნები 5%-დან 7%-მდე გაზარდა, რაც ანალიტიკოსების მოსაზრებით ჩინეთის ეროვნული ვალუტის გამყარების საპასუხოდ მოხდა და მოლოდინია რომ იუანი გაუფასურდება. ჩინეთის ეკონომიკა 2021 წლის პირველ კვარტალში წლიურად რეკორდული 18.3%-ით გაიზარდა, თუმცა კვარტალურ ჭრილში ზრდამ მხოლოდ 0.6% შეადგინა, რაც მოსალოდნელზე დაბალი მაჩვენებელია. ძლიერი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად ზოგიერთი ანალიტიკოსი ჩინეთის ეკონომიკის გაჯანსაღების შენელებას მოელის. აღსანიშნავია, რომ OECD-ს ბოლოდროინდელი პროგნოზით 2021 წელს ჩინეთის ეკონომიკის 8.5%-იანი ზრდაა მოსალოდნელი. ჩინეთის Shanghai Composite ინდექსი მაისში 4.8%-ით გაიზარდა.
- **იაპონიაში**, კოვიდ სიტუაციის გაუარესების პარალელურად, 2021 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკა 5.1%-ით შემცირდა, რაც მოსალოდნელზე ცუდი მაჩვენებელია (4.6%). კვარტალურ ჭრილში ეკონომიკა 1.3%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ იაპონიის დიდ ქალაქები შეზღუდვები კვლავ მოქმედებს, რის გამოც შესაძლებელია ეკონომიკური შემცირება 2021 წლის მეორე კვარტალშიც გაგრძელდეს. აქვე აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში იაპონიის მთავრობამ დააჩქარა ვაქცინაციის პროცესი მოახლოებული ტოკიოს ოლიმპიადისთვის (23 ივლისი). მაისის ბოლოსთვის იაპონიის Nikkei 225 ინდექსის ფასი 0.3%-ით ნაკლები იყო აპრილის ბოლოს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით.

ნავთობი და ოქრო

- მსოფლიო ეკონომიკებში გაზრდილი ინფლაციური წნეხი ძირითადად გაზრდილ ნავთობის ფასებს უკავშირდება. ფასების ზრდა მაისშიც გაგრძელდა. Brent-ის ტიპის ნავთობის ფასი 4.0%-ით გაიზარდა და 1-ლი ივნისისთვის ბარელზე \$70.25 შეადგინა, რაც პანდემიის პერიოდის მაქსიმუმია, WTI-ის ტიპის ნავთობის ფასმა კი \$67.7-ს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ OPEC+-ის შეხვედრაზე მინისტრები შეთანხმდნენ, რომ გაზრდილი მოთხოვნის მიუხედავად წარმოების ზრდა ნელი ტემპებით მოხდება, ვინაიდან პანდემიასთან დაკავშირებული გაურკვეველობები კვლავ ნარჩუნდება.
- მაისში გაგრძელდა ოქროს ფასის მატება და 1-ლი ივნისისთვის ტროის უნციაზე ოქროს ფასმა \$1,900-ს მიაღწია, რაც წლის დასაწყისის მერე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

Volatility/მერყეობა ზაზარზე

- მაისში, Cboe Volatility (მერყეობის) ინდექსი, VIX, მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 1-ლი ივნისისთვის 17.9 შეადგინა.



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2021 წლის 1 ივნისის მდგომარეობით

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიჩანიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულსხმვეის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაეცემა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულსხმვეი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულსხმვეს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის უფროსი

ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი

ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: researchgt@gt.ge